№ 16 22 იანვარი, სამშაბათი. 1866—1880 22 იანვარი, სამშაბათი. № 16

# დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

ერევნის მოედანზე, მუხაძის თავში მარცხნივ, თ. ლუარსაბ ორბელიანის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію Дроэба‘-„Иверіи“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს: | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილმრივის ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. წვრილმრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურგი 19 იანვარს. გაზეთს „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ გუშინ, 18 იანვარს, ღამით, საპიტრის ვიწრო ქუჩაზედ პოლიციამ აღმოაჩინა საიდუმლო სტამბა; აქ მყოფ ხუთმა პირმა—სამმა კაცმა და ორმა ქალმა—პოლიციას გაუწიეს წინააღმდეგობა: პოლიციელებსა და ჟანდარმებს რევოლვერით ესროლეს; პრისტავის თანაშემწე გაკაწრული აქვს. ოთხი ამათგანი დაიჭირეს. ერთმა კი საფეთქელში ირტყა ტყვია და იქვე მოიკლა თავი. აქ იპოვნეს საბეჭდავი მაშინა, ბევრი ნომრები აღკრძალულის გაზეთისა „ხალხის ნება“ („народная воля“), ყალბი ბეჭდების ასოები, სხვა და სხვა ყალბი დოკუმენტები, საწამლავები და ასაფეთქი მასალები.

კანნი, 19 იანვარს. დღეს ხელმწიფე იმპერატრიცა რუსეთში ბრძანდება.

ბერლინი, 18 იანვარს. გერმანიის ტახტის მემკვიდრე გუშინ იტალიაში წავიდა, წასვლის წინათ იმან ინახულა თ. ბისმარკი და დიდხანს ელაპარაკა იმას დაიარაღების თაობაზედ. ამბობენ, ტახტის მემკვიდრეს მოსწონს ამ საგნის შესახებ ბისმარკისა და მოლტკეს აზრი და წინადადებათა მამას ურჩევს ამ წინადადებაზედ დათანხმდესო.

## მზათა ვართ?*)

უკანასკნელ დროში ხშირად იმართება საუბარი და სჯა შესახებ უმაღლესი სასწავლებლის გახსნისა ჩვენ ქვეყანაში. მის დაარსების საჭიროებას გრძნობს საზოგადოება, ქადაგობს მწერლობა და აღიარებს მთავრობა.

რუსეთის გაზეთებმა არა-ერთხელ აღძრეს ეს კითხვა. ჩვენში ხომ არც ერთი ორგანი, არც ერთი გაზეთი არ დარჩა, რომ არ გამოეთქვა თავისი მოსაზრება, თავისი საბუთები უნივერსიტეტის გამართვის საჭიროებაზედ და სარგებლობაზედ. „თბილისის მოამბე,“ „ობზორი,“ „კავკაზი“ და სომხის გაზეთები ერთ-ხმივ ამტკიცებენ, რომ უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნებას კავკასიაში ერთნაირად ითხოვენო როგორც სახელმწიფო ინტერესები, ისე საზოგადოებრივი. თვითონ ჩვენმა მოსკოვის კორრესპონდენტმა ამას წინეთ მთელი წერილი უძღვნა ამ საგანსა და რჩევა მისცა საქართველოს თავად-აზნაურობას, რომ მან ისარგებლოს ჩვენი ხელმწიფე იმპერატორის იუბილეით ცხრამეტ თებერვალს და სთხოვოს მთავრობას უნივერსიტეტის დაფუძნე თფილისში.

მეორეს მხრით უ. მზრუნველი კავკასიის სამოსწავლო ოკრუგისა დიდად პატივ-ცემული იანოვსკი წარსული წლის ანგარიშში პირ-და-პირ აღიარებს, რომ მას უმაღლესი სასწავლებლის დაარსება ჩვენში ახლო მომავალში მიაჩნია ფრიად სასარგებლო საქმეთ როგორც ჩვენი მხრისათვის, ისე საზოგადოდ რუსეთისათვის.

როცა ზამთრის გასულს გესმის ჭიკჭიკი არა-ერთი მერცხლისა, არამედ მთელი გუნდისა, მაშინ დარწმუნებული ხარ, რომ საამური გაზაფხული კარზედ გვყავს მოდგომილი. საზოგადო საქმეებშიაც ასე გახლავთ. თუ თითქმის ყოველი უწყებიდგან, ყოველი ბანაკიდგან და ყოველი სალიტერატურო ორგანიდამ გესმის ერთი და იგივე მოთხოვნილება, ერთი და იგივე სურვილი, უნდა იცოდე, რომ ეს სურვილი მალე ასრულდება, მოთხოვნილებას მალე ეღირსება დაკმაყოფილებას.

აზრი კავკასიის უნივერსიტეტზედ ღრმად იდგამს ფესვებს, ვრცელდება, მწიფდება. მისი სისრულეში მოყვანა, მისი განხორციელება უეჭველად მოხდება ამ რამდენიმე წლის განმავლობაში. მაშინ უმაღლესი სწავლის ლამპარი როდილა ენთება ორი ათასი ვერსის სიშორეზედ, საიდგანაც მხოლოდ მკრთალს და თხელს ნათელს გვიგზავნის. იგი დაიწყებს კაშკაშს ჩვენ შორის, ჩვენ გვერდით, ჩვენი ქვეყნის შუაგულში. სიცხოველი მისი იმატებს ერთი-ორად.

ერთის შეხედვით ჩვენ მარტო სიხარული და ალტაცება გვმართებს. მაგრამ ეს სიხარული და ალტაცება ნაღვლის შხამით იწამლება, როდესაც ჩვენს ახლანდელ მდგომარეობას დააკვირდებით და ჩაფიქრდებით ამ კითხვაზედ: ამ გონებითი მნათობის სხივები ჩვენც მოგვეფინება, თუ ისევ ჩრდილში დაგვარჩენს, და მის შუქი აღამაღლებს მარტო ჩვენ იღბლიან მეზობლებს?

„რასაკვირველია ჩვენც მოგვეფინება!“ მომიგებს მკითხველი, რომელსაც კაცთა დაწყებილება ისეთივე სამართლიანი და მიუდგომელი რამ ჰგონია, როგორც არის ბუნება. საუბედუროდ, ამ მხრით უმაღლესი სწავლა, ეს გონებითი სინათლე, სრულიად არა ჰგავს მზეს, ბუნებითს სინათლეს. უკანასკნელი თავის-თავად უნათებს ღარიბებსაც და მდიდრებსაც, დიდსაც და პატარასაც, ქოხსაც და სასახლესაც. პირველი კი წილათ ხვდება მარტო ძლიერებს და მომზადებულებს... როცა მზეს კაშკაში გააქვს, მისი სხივების დატკბობისათვის მარტო კარზედ უნდა გამოხვიდე; მაგრამ შეიძლება უმაღლესი სწავლის ლამპარს განუშორებლივ გვერდით უდგე და სული კი გეხუთებოდეს გონების სიბნელისაგან. სწორეთ ამ უკანასკნელს ხიფათს, განსაცდელს გვიქადის მამავალში ახლანდელი ჩვენი მდგომარეობა.

ადგილობრივი უნივერსიტეტი მხო-

*) უნივერსიტეტის რედაქცია ამ მოკლე ხანში მკითხველს უძღვნის ცალკე წერილს,
რედ.

## ფელტონი

—

### რაღა დროს!

შარშან მარტში გარდაიცვალა ბესარიონ ღოღობერიძე. ცხრა თვე გავიდა მას აქეთ. ცხრა თვე გავიდა, რაც საზოგადოებამ ღირსეულათ დააფასა განსვენებულის უანგარო შრომა; მრავალი ცრემლი გადმოვარდა იმის საფლავზედ, რომელსაც პირმოთნეობას ვერავინ დასწამებდა. სიტყვით თუ წერით, საქართველოში, თუ სხვა ქვეყნებში გაბნეულ საქართველოს შვილთაგან, ყოველგან და ყოველის გზით მოისმოდა გულ-წრფელი მწუხარების ხმა.

თავის იღბალს დაუმადლოს უფ. „Обзоръ“-ის რედაქტორმა, ნიკოლაძემ, რომ ამ დროს იმისი გაზეთი აღარ არსებობდა. რა პირით შეხედავდა ის ამ ამბავს? რას იტყოდა? არა მგონია გაებედნა და დაეწყო იმ ცილების გამეორება, რომელთაც რამდენსამე თვის წინეთ ის ბ. ღოღობერიძეს ისე უხვათა სწამებდა. მაშინ იმას საზოგადოებაში თავი აღარ გამოეყოფოდა. ვერც თავის სიტყვაზედ იტყოდა უარს, რადგან დიდი ხანი არ იყო გასული იმის ბ. ღოღობერიძეზედ გალაშქრების შემდეგ და საზოგადოებას ჯერ არა ჰქონდა-რა დავიწყებული. ერთი გზაღა დარჩებოდა: გზა შენანებისა და თავისის უსამართლო ქცევის გამხელისა.

მაგრამ ეს გზაც ეკლიანი იქნებოდა. იმათ გულს ველარ მოუგებდა, ვისაც ბ. ღოღობერიძისთვის გული სტკიოდა და იმ თითო-ოროლა თავის თაყვანის მცემელთ შორის, რომელთაც უფ. ნიკოლაძის სიტყვების ჭახი-ჭუხით ყურები გაჭედილი ჰქონდათ, სეტიბარს გაიტეხდა.

ერთის სიტყვით, რაღაც წინასწარმეტყველურმა გრძნობამ წასჩურჩულა უფ. ნიკოლაძეს, რომ იმან თავის გაზეთი ისეთს მოსწრებულს დროს მოსპო.

პირველს იანვარს 1880 წელს იშვა ხელ-მეორეთ იმისი გაზეთი.

თუ მცირედიც არის თავის მკითხველების პატივისცემა ჰქონდა უფ. ნიკოლაძეს, ხმა არ უნდა ამოეღო ბ. ღოღობერიძეზედ და თავის სიჩუმით აღეარა თავის შეცდომილება. თუ ეგონა, რომ იმის მკითხველებს მცირედიც არის მეხსიერება აქვთ და ახსოვთ იმის ნაწერი, უნდა დაჩუმებულიყო.

მაგრამ ეტყობა უფ. ნიკოლაძეს ჰგონებია, რომ ყოველს იმის სიტყვას იმისი მკითხველები ნამდვილს ჭეშმარიტებათ მიიღებენ, თუნდ ეს სიტყვა გუშინ იმისგანვე ნათქვამს სიტყვას ეწინააღმდეგებოდეს.

წრევანდელის „Обзоръ“-ის 392-№-ში იმან დაბეჭდა ფელტონი „Мѣстная общественная жизнь въ 1879 г.,“ რომელიც მართლა რომ გასაშტერებელია. ამ ფელტონს ეტყობა თითქო შენანება, მაგრამ ეს შენანება ისეთის თვალთმაქცობით არის დაფარული, რომ ღირს იმაზედ ლაპარაკი. ნუ გეგონებათ, რომ ამ ფელტონში უფ. ნიკოლაძე იმ დედა-აზრის წინააღმდეგი იყოს, რომელიც იმასა ჰქონდა გამოთქმული უწინდელის „Обзоръ-ის ნომრებში. სრულებითაც არა. აქაც ის იმეორებს, რომ თუ მე ღოღობერიძეზედ ვსწერდი რასმეს იმის საზოგადოებაში მოქმედება მქონდა სახეში და არა თვითონ ღოღობერიძე, როგორც კერძო კაციო.

კარგი და პატიოსანი, თუ მწერალი ისე მოახერხებს საზოგადო ასპარეზზედ გამოსულის კაცის მოქმედების გარჩევას, რომ თვითონ კაცის კერძო მოქმედებას ჩირქი არ წასცხოს.

გავშინჯოთ, ასე მოიქცა უფ. ნიკოლაძე თუ არა. ვიდრე ამის განხილვას შევუდგებოდე ჯერ ცოტას რასმე ვკითხავ იმას.

ეხლა უფ. ნიკოლაძე საზოგადოებაში მომქმედ პირათ ირიცხება. მე რომ კალამი ავიღო ამ საბუთის ძალით, დავიწყო წერა და ვსთქვა: ნიკოლაძე ორ-პირი კაცია; ახალგაზრდობას ეუბნება: „მე თქვენი თანახმა ვარ, უნდა ვიზრუნოთ და ვეწვალოთ დაჩაგრულ კაცობრიობისთვის“ და დიდკაცებს კი შესჩივის: „ახალგაზრდობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ მაშინ არის უძვირფასესი საუნჯე რომელიმე ხალხისათვის, მხოლოდ მაშინ ხდება მის ამაღლების და განძლიერების წყაროდ, როდესაც მას სრული შეძლება აქვს შესწვდეს და დაეწაფოს ამ წყაროს, როდესაც ყოველ წლივ მისი ახალ-გაზდობა დასდასობით გამოდის გიმნაზიებიდგან კურს შესრულებული და უმაღლესი სწავლისათვის მომზადებული.

ამ გვარია ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა? მზათა ვართ ვისარგებლოთ უნივერსიტეტის გახსნით? ვემზადდება ახალ-გაზდობის გუნდები მასში შესასვლელად?

ამ კითხვების მოჭრილ პასუხს გვაძლევენ ამას წინეთ მთავრობისაგან გამოცხადებული ცნობები შესახებ მასწავლებელთა რიცხვისა სასწავლებლებში და მის განაწილებისა კავკასიის ხალხებთა შორის. ჩვენ ყველამ ვიცოდით ჩვენი უკან ჩამორჩომა განათლებაში, მაგრამ ამ ცნობებმა ისეთი გულ-საკლავი და უწყალო ფაქტი დაგვიხატეს თვალ-წინ, რომ ყველა მამულის გულ-შემატკივარს შვილს თავ-ზარი დასცეს. აღმოჩნდა, რომ კურს შესრულებულებში ქართველები შეადგენენ მხოლოდ ერთს მეასედ ნაწილსა, მაშინ, როდესაც სომხებს, რომელნიც კავკასიაში ქართველებს რიცხვით თითქმის ერთი ორად ჩამოუვლენ, ასში ოცდა-ცამეტი ყმაწვილი უსრულებს ყოველ-წლივ გიმნაზიებსა და სხვა საშუალო სასწავლებლებსა.

ეს იმ გვარი ფაქტია, რომელიც თვითონ, თავის თავად, აუხსნელად ჰკივის და ღაღადებს. ეს ფაქტი ამხილებს ჩვენს მამაკვდინებელს წყლულებას, დამამხობელს სენს და მჭევრ-მეტყველურად გვეუბნება: თუ ამ სენს ფესვებიანად არ ამოაგდებთ, თუ მას უებარს წამალს მალე არ მიაშველებთ, უნივერსიტეტის გახსნა თფილისში ტყუილად ნუ გიხარიანთო; უმაღლეს სწავლას თქვენ ვერ შესწვდებით, მის გამაცხოველებელ წყაროს ვერ დაეწაფებით და ისევ დარჩებით ხახა-მშრალები.

მართალია, ვსთქვათ გაიხსნა ჩვენ დედა-ქალაქში უნივერსიტეტი. თუ ჩვენი განათლების მდგომარეობა მანამდის ძირეულად არ შეიცვალა, თუ ქართველების რიცხვმა გიმნაზიებში ათად და ოცად არ იმატა, განა ბევრს რასმე მოგვათბობს ჩვენ უნივერსიტეტი? ას სტუდენტში რომ მხოლოდ ორიოდე ჩვენგანი ერიოს, ნუ თუ ეს არ იქნება ცვარი ზღვაში, ნუ თუ ეს ჩვენ არსობაში რასმე კეთილად შესცვლის! ამას ჩვენთვის იმისთანავე მნიშვნელობა ექმნება, როგორც პურის ნამცეცს დამშეულისათვის და წყლის ცვარს მწყურვალისათვის...

შევხედოთ საგანს ეკონომიური მხრით. უნივერსიტეტის გახსნას და შენახვას ყოველ-წლივ დიდ-ძალი ფული მოუნდება. ვის დააწვება კისერში ეს ტვირთი, ეს ვალდებულობა? რასაკვირველია იმასვე, ვისიც ღატაკი ჯიბე ინახავს ეხლანდელ გიმნაზიებსა და სხვა სასწავლებლებსა, ესე იგი საქართველოს ერს, სხვათა შორის. მაშასადამე, თუ ჩვენ სწავლის გარეთ დავრჩებით შემდგომშიაც, მოვალეობა ჩვენი შესახებ განათლებისა იმატებს; და უფლებანი კი საქმით ისევ შავბედ ქვეშ დარჩებიან. საუკეთესო გონებითი საჭმელი, ძვირფასი სუფრა სულისა, ჩვენი უკანასკნელი გროშებით დამზადებული და შეზავებული, თვალ-წინ გვედგმის ყოველ ჟამს, მაგრამ ხელი და პირი კი არ მიგვიწვდება, სხვანი ეყოლებიან მას შემომსხდარნი გარსა, სხვანი შეიძენენ არსებობისათვის საბრძოლო ძალას და ღონეს, და და ჩვენ კი თვალებ დაბრეცილები დავრჩებით.

არა მგონია, რომ ჩვენი ჰაზრი ვინმემ გადაასხვაფეროს და ის დასკვნა გამოიყვანოს, ვითომ ჩვენ გულით და სულით არ გვსურდეს ახლო მომავალში უნივერსიტეტის დაარსება კავკასიაში. ამ გვარი დასკვნა უშვერი შეცდომა იქნება! უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნებას ჩვენ სხვაზედ ნაკლებ არ ვნატრულობთ, მის გამართვის მოახლოებას სხვაზედ ნაკლებ არა შევხარით. ჩვენი მხურვალე სურვილი მხოლოდ ის არის, რომ საზოგადოებამ ფხიზლად შეხედოს თავის მდგომარეობას, ღრმად ჩააკვირდეს მას, მტკიცედ იგრძნოს თავისი ახლანდელი მოუმზადებლობა უმაღლესი სასწავლებლისათვის და, ამ ნაკლულევანების მოსასპობლად, დაამყაროს თავისი მთავარი მხნეობა, თავისი მეცადინეობა ერთს, ყველაზედ უფრო საჭიროს, ყველაზედ უფრო დიდ მნიშვნელობიანს საგანსა: ქართველ მოსწავლეთა რიცხვის მომატებას და გამრავლებას გიმნაზიებში და სხვა სასწავლებლებში.

ჩვენმა საზოგადოებამ კარგათ უნდა შეიგნოს, რომ თუ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ქართველთა რიცხვს სასწავლებლებში არ მიიყვანს იმ ნორმამდის, იმ ხარისხამდის, რომელიც შეესაბამება ჩვენი ერის რაოდენობას და იმ ადგილს, რომელიც სჭერია და უნდა ეჭიროს მას კავკასიის ხალხთა დასში, მაშინ უნივერსიტეტის გახსნის დროს, სრულიად დავემგზავსებით იმ ახირებულ მონადირეს, რომელიც დილით საღამომდის ერთგულად გაიძახოდა ალალ-ალალსა და მწყრებს კი, მისივე ფეტში დასუქებულებს, იჭერდა მისი მეზობელი და ხარობდა.

ერი, რომელსაც წინ არ მიუძღვის და არ უკაფავს პროგრესის გზას რაზმი მძლავრისა და მრავალის ინტელიგენციისა, ადრე თუ გვიან წააგებს საარსო ბრძოლასა და დაჰკარგავს თავის ადგილს ერთა შორის. ეს ჭეშმარიტება უნდა ყოველ წამს თვალ-წინ გვედგას და აღვიძებდეს ჩვენში მხნეობას და ენერგიას განათლების გაძლიერებისათვის საქართველოს შვილთა შორის.

ი. სიმონიძე.

## ახალი ამბები

გუშინ, კვირას, თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის სადგომში იყო უჩვეულებრივო საერთო ყრილობა „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა.

როგორც გაზეთებში წინათვე დაბეჭდილმა განცხადებამ გვაცნობა, ამკრებას ორი განსახილველი საგანი ჰქონდა: საზოგადოებისათვის ახალ წევრთა ამორჩევა. და აგრეთვე რამდენიმე ახალ წევრის ამორჩევა საზოგადოების გამგეობისათვის.

25 პირს განეცხადებია სურვილი საზოგადოების ნამდვილ წევრად ჩარიცხვისა; კრებამ ერთ-ხმად მიიღო და ამოარჩია ისინი.

შემდეგ საზოგადოების გამგეობისათვის წევრთა ამორჩევას შეუდგნენ. საზოგადოების თავსმჯდომარემ პატივცემულმა დ. ი. ყიფიანმა გამოაცხადა, ახლანდელი გამგეობის აზრი ის არისო, რომ გამგეობის ეხლანდელს ექვსს წევრს კიდევ რომ ექვსი მოემატოს, საკმაო იქნებაო. ამავე საგნის შესახებ გამგეობის წევრმა უფ. იაკობ გოგებაშვილმა გაიმეორა „დროების“ №-15 ში იმისგან გამოთქმული აზრი, რომ საჭიროაო და სიმართლეც მოითხოვსო, რათა ყოველ კუთხეს საქართველოისას ყვანდეს თავის წარმომადგენელი საზოგადოების გამგეობაში, მაგ. იყვეს წარმომადგენელი იმერეთისა, სამეგრელოსი, გუ-

---

სცდება, მათი ზრუნვა დაბალს ხალხზედ არის მიქცეული, მათი მოქმედება საშიშია!“ ეს რომ ბეჭდვით, გამოვსთქვე და საქმით, ფაქტების ჩვენებით კი არ დავამტკიცო, რა სახელი მეკუთვნის მაშინ მე?

შეგიძლიანთ ცილის-მწამებელი დამიძახოთ და მეკუთვნის კიდეც.

მე რომ დავწერო, ნიკოლაძეს საზოგადოების ფული ჰქონდა მიბარებული. იმან ის ფულები თავის ნათესავებს მისცა და დაბრუნებას ნულარ მოველით, რა სახელი მეკუთვნის მე, თუ ეს ფულის გაფანძვა ყველასთვის თვალ-საჩინო მაგალითით არ დავამტკიცე?

შეგიძლიანთ უსვინიდისო დამიძახოთ და მეკუთვნის კიდეც.

მე რომ დავწერო: ნიკოლაძეს ნაცნობს ციმბირში გზავნიდნენ; ის ყველგან იძახდა: „ჩემი ნაცნობი მართალია“, მაგრამ სასამართლოში კი, როდესაც გამოჰკითხეს, თითქმის იმის ცნობაზედაც კი უარი სთქვა, და იმის ჩვენებას კი დიდი მნიშვნელობა ექნებოდა“; მე რომ ეს დავწერო, განგებ თქვენგან ნათქვამი სიტყვები გადავასხვაფერო და ცრუ საფუძველის ძალით საზოგადოების წინ ლაჩრათ, მეგობრის გაუტანელათ გამოგიყვანოთ, რა სახელი მეკუთვნის მე?

შეგიძლიანთ ნამუსზედ ხელ-აღებული დამიძახოთ და მეკუთვნის კიდეც.

ეხლა ნება მიბოძეთ, უფ. ნიკოლაძე, მოგაგონოთ თქვენგან გაზეთში წარმოთქმული სიტყვები ბ. ღოლაბერიძეზედ და გთხოვოთ, რომ თქვენს საქციელს სახელი თქვენვე უპოვნოთ; თქვენ უფრო ღირსეულათ დააფასებთ თქვენს თავსა.

სჯობს თქვენი სიტყვებივე მოვიყვანოთ:

| 1878 წ. „Обзоръ“-ს 15 №-ში თქვენა სწერდით ფელტონში: „Воскресныя бесѣды“: | 1880 წ. „Обзоръ“-ის 392 №-ში სწერთ ფელტონში: |
|---|---|
| „ზოგიერთი ჩვენი ცრუ ლიბერალები, რომელთაც განისვენეს ბანკებში და ყვლეფენ თავად აზნაურობას იმის შემდეგ რაც ხერხიანად გაყვლიფეს მთავრობა, თავიანთ ზურგ-დაუზოგავათ, ბრალსა სდებენ გაზეთებს, „არა ლიბერალობთო“ და ამტკიცებენ, რომ ანდრეევსკის ქალი წყალში დაიხრჩო და არა ხელით დაახრჩესო. ერთი იმათგანი *) ჩვენებას აძლევდა სასამართლოში. როდესაც იმასა ჰკითხეს: „რა აზრისა ხართ ჩხოტუას ხასიათზედაო, იმან ურცხვათ უპასუხა: „მე იმას სრულიად არ ვიცნობ; მე ცოტაოდენი უბრალო ლაპარაკი მქონდა იმასთანაო“... „...ის (ბ. ღოლაბერიძე) ფიცულობდა ყველგან: თფილისში, ქოჯორში, რკინის გზებზედ, რომ... ჩხოტუა ვერ იზამდა მაგისთანა ცუდს საქმესაო (ანდრეევსკის ქალის სიკვდილს)...“ „კარგი იქნებოდა, შეგვეტყო, სადა ცრუობდა; გარეთ, სადაც ამტკიცებდა, რომ ჩხოტუას იცნობს, თუ სასამართლოში, სადაც უბრალო ცნობაზედაც კი კინაღამ სრული უარი არა სთქვა.“ | „ბ. ღოლაბერიძე იყო შესანიშნავი ზოგიერთი ძვირფასი ხასიათებით. ჩვენს საუკუნეში, როდესაც ყველას შეძლების შეძენა უნდა, ის სიმდიდრეს სრულებით არ ეძებდა და სხვებსავით თანამდებობებს არ ეხარბებოდა. იმავე ფელტონში სწერია: „ის (ბ. ღ.) მოკვდა, მაგრამ ცუდი ნაყოფი მოაქვს იმის საქმის, რომელიც იმან თავის პატიოსანი, ჩირქ-წაუცხობელი ხასიათით მაღლა დააყენა“. |
| ყოველი ამ შენიშვნას მკითხველი იფიქრებს, რომ ბ. ღოლაბერიძე ყოფილა: ანგაარიბით სავსე, მეგობრისა და ნაცნობის გაუტანელი, ცრუ, ურცხვი და ლაჩარი. | მაშასადამე ბ. ღოლაბერიძე უანგარო და პატიოსანი კაცი ყოფილა. |

*) ბ. ღოლაბერიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიისა, რაჭისა ფშავ-ხევსურისა და სხვ.

კრებამ მიიღო მხედველობაში ეს აზრი და შეუდგა პირ-და-პირ გამგეობის წევრთა ამორჩევას.

საზოგადოების გამგეობის ახალწევრებად ამორჩეულ იყვნენ კენჭისყრით შემდეგნი პირნი: გიორგი წერეთელი (ამოუვიდა 21 თეთრი კენჭი და 1 შავი), ო. ქორდანია (20—3), გამყრელიძე (20—4), გ. თუმანიშვილი (19—3), ი. მეუნარგია (17—5), და გ. შთურგაული (17—7); ვ. მიქელაძე ამორჩეულია კანდიდატით.

***

გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია სასიამოვნო ამბავი, რომ ხელმწიფე იმპერატორის 25 წლის იუბილეის სახსოვრად და სადღესასწაულოდ საქართველოს ეპარხიის სამღვდელოებას გარდაუწყვეტაა 25,000 (ოც-და-ხუთი ათასი) მანეთის შეწირვა იმ განზრახვით, რომ ამ ფულით დაინიშნოს სტეპენდიები სამღვდელოების საეპარხიო სასწავლებლო შკოლისათვის და ამ სტიპენდიებს დაერქმევა სახელი ხელმწიფე იმპერატორის სტიპენდიისა.

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ორი ახლად გამოსული პატარა ქართული წიგნი: უფ. დიმიტრი ბაქრაძის „მირიან მეფე და წმ. ნინო“ (გამოცემა გიორგი ხუციშვილისა) და „მოქალაქე დაბაღ ღალოსისაუბარი ტერტერებზე“.

ჩვენ ქართველებისათვის, რომელთაც, საუბედუროთ, ჯერ კიდევ არა გვაქვს ჩვენი ქვეყნის ცოტად არის ხეირიანი შემოკლებული ისტორიის სახელმძღვანელო, იმისთანა მონოგრაფია, როგორიც არის უფ. დ. ბაქრაძის „მირიან მეფე და წმ. ნინო“, უეჭველია, დიდ განძს შეადგენს; და ჩვენ ვინატრით, რომ უფ. ბაქრაძემ იკისროს ამისთანა მონოგრაფიების გამოცემა ჩვენი ისტორიის უფრო საყურადღებო და შესანიშნავ ეპიზოდებისა. ამით მაინც ისარგებლებდნენ ჩვენი შკოლები, მოსწავლეები და საზოგადოთ ყველა, ვისაცთვის ქვეყნის ისტორიის ცხოვრების შესწავლა ეჭირება, სასურველია მხოლოდ რომ ენა ამგვარ ბროშურებისა ცოტა უმფრო მსუბუქი და ცოცხალა იყვეს...

„მოქალაქე დაბაღ ღალოას საუბარი“ არის საუბარი ერთის ვილაც უბრალო სომხის მღვდლებზედ. კარგის სურათებით არ არის გამოხატული მაშინდელი სომხის ტერტერების ცხოვრება და ხასიათები ამ წიგნში. ჩვენ ჩვენს მღვდლებს უჩივით და სომხის მღვდლები, ავტორის სიტყვით, უარესები ყოფილინ. ესენი მხოლოდ თავის მუცლის დასაკმაყოფილებლად, ფულის მოსაგროვებლად ზრუნავენო; ამათი ფიქრი: კარგი ღვინო, კარგი თევზი, ღარიბის დაჩაგვრა, მდიდრის წინ ფეხ-ქვეშ გაგორება არისო. თავის მრევლზედ, იმის სულიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, საზოგადო საქმეებზე, შკოლაზე, განათლებაზე ესეეა არ ზრუნავენო და სხვ. და სხვ.

# უცხოეთი

საფრანგეთი. მოგვყავს პროგრამმა ახალის სამინისტროისა, რომელიც წარდგენილ იქმნა პალატთა წინაშე.

„ბატონებო, სამინისტროს გამოცვლა, რომელიც ამ ახალ სესსიას მოჰყვა, გვიმტკიცებს იმას რომ საფრანგეთის შინაგანი და გარეგანი საქმეები კეთილგონიერათ და რიგიანათ იქნებიან წაყვანილნი.

„სამინისტროის გამოცვლა იმას არ ნიშნავს ვითომ ამავე დროს გამოიცვალა რესპუბლიკელ დასთა შორის ურთიერთობა.

„მთავრობა ეცდება რომ საფრანგეთის საქმეები უკეთ იყვნენ მომართულნი თქვენის ენერგიული შემწეობით.

„ჩვენ მიგვიძღვის წინ მრავალი იმნაირი კითხვა, რომელთა ახსნა ფრიად საჭიროა. ყველა ამ კითხვებზე ჩვენ შემოვიტანთ გადაწყვეტილებას, ჩვენ ვითხოვთ სენატში რომ გენჭი უყარონ საზოგადო განათლების კანონებს რომელნიც მიღებული არიან დეპუტატების პალატაში. ჩვენ დაუმატებთ ამას კანონებს პირველ დაწყებით სწავლაზე ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების დაგვარად.

„სამართალის საქმის განწყობილება უნდა შეიცვალოს. ჩვენ გვინდა თქვენთან ერთად რომ სასამართლო იყოს მტკიცე, პატივ-საცემი და დამოკიდებელი.

მოხელეთა და სხვა და სხვა თანამდებობის პირთა დაყენება მთავრობის ხელთ არის. ჩვენი მოვალეობა იქნება მარტო ის რომ წარვადგინოთ საუკეთესო და სვინიდისიანი პირნი.

„საზოგადო კრებების კანონების პროექტი წარმოდგენილი იყო ჩვენ წინათ მყოფ სამინისტროსაგან ეს კანონები უნდა გავაახლოთ და წარმოვადგინოთ.

„წერა-ბეჭვდის კანონების შესახებ კანონი დაუყოვნებლივ იქმნება წარდგენილი თქვენ წინაშე. იმაში იქნება გამოხატული ვრცელი თავისუფლება თუმცა დაუსჯელობას არ აღიარებს. ჩვენ გვგონია, რომ მწერალს არ უნდა ჰქონდეს რაიმე განსაკუთრებული უფლება; მეორეს მხრით რესპუბლიკას უნდა იარაღი მის წინააღმდეგთა და მტერთა დასასჯელად.

„აი ეს კითხვები რომელნიც უნდა იყვნენ განხილულნი ამ სესსიაში. თუ იტყვით რომ ეს საქმეები საკმარი არ არის, ჩვენ გეტყვით, რომ მარტო ეს საქმე არ არის საჭირო გასარჩევი. სხვა გვარი კითხვები უფრო საჭიროები არიან და საყურადღებონი.

„ჩვენ ქვეყანას მოელის უფრო ვრცელი ასრულება პროგრამმისა საზოგადო შენობათა შესახებ. ეს იქნება რესპუბლიკის სასახელოდ თუ ამ პროგრამმას ბოლომდის მივიყვანთ.

„მთავრობა თავისის მხრით შესწირავს მას თავის მოღვაწეობას.

„თქვენ უნდა შესწიროთ დამოკის საქმეები. ჩვენ მზათა ვართ მოვილაპარაკოთ ამის თაობაზე.

„საჭირო სამხედრო კანონები ჯერ კიდევ გენჭის საყრელია ჩვენ გთხოვთ, რომ რაც შეიძლება მალე განიხილოს ეს კანონები.

ესლანდელი შემოსავალ-გასავლის გარჩევა მოითხოვს თქვენ მხრით შესწავლას. ხარჯის დადების შესახებ ჩვენ მოვითხოვთ იმის დაკლებას, რადგან ესლა ძალიან უთანასწოროთ არის საზოგადო საქმეების საჭიროებაზე.

„თქვენზეა დამოკიდებული ბატონებო, და თქვენ უნდა მოიხმაროთ გონიერება კენჭის ყრის დროს აასრულოთ თქვენი მოვალეობა რიგიანათ და რომელიც დაგაგვირგვინებსთ ღირსეულათ.

„რაც შეგვეხება ჩვენ, რომელნიც ვართ ნამდვილი აღმსრულებელნი თქვენი გადაწყვეტილებისა, ჩვენ ვეცდებით მოვიხმაროთ კანონები ზომიერობით, მიუდგომლათ და თავისუფლათ. ჩვენი მოღვაწეობა იმაზედ იქნება მიქცეული, რომ მოუპოვოთ ხალხს ორი დიდი საჭიროება: წესიერება და მშვიდობიანობა. ჩვენ გვინდა დავადგინოთ იმ გვარი რესპუბლიკა, რომლის თანაგრძნობა დაუბრკოლებლივ და თავისუფლათ შეეძლოსთ ყველა ფრანცუზებს.

„ჩვენ მოგესმარებით ბატონებო, ყველა თქვენ საქმეებში. თქვენ თითონ ნახავთ ამორჩევის დროს, რომ თქვენ თქვენი დრო უსარგებლოთ არ მოგიხმარებიათ.“

---

1878 წ. „Обзоръ“-ის 96 №-ში მოწინავე სტატიაში: „Мои личные счеты съ Б. Гогаберидзе“ თქვენ სწერდით:

„მე ვდევნი უფ. ღოღაბერიძეს და იმის ჯურის ხალხს, იმიტომ რომ იმათ, ჩემის, აზრით დიდი ენება მოაქვთ ჩვენის ქვეყნისთვის. ისინი ორპირები არიან..... ჩვენთან იმათ ლიბერალების სახე აძევთ და სტირიან ცხარეს ცრემლით კაცობრიობის უბედურებაზედ...ძველის თაობის წარმომადგენელთა და უფლების მქონეთა წინ კი ისინი სხნან ზომაზედ მეტათ კეთილის განზრახულებისა, სწუხან ჩვენ შეცდომილებაზედ, ეშინიანთ ჩვენის წრეზედ გადასვლისა.“

იმავე წრევანდელს ფელტონში სწერია:

„იმან (ბ. ღ.) ვერ შეასრულა ვერც ერთი თავის სურვილთაგანი, რომლებზედაც ის ყოველთვის გრძნობითა და გულწრფელობით ლაპარაკობდა“.

ორპირობა და გულწრფელობა რომ არა ხერხდება ერთმანეთთან!

1878 წ. „Обзоръ“-ის 108 №-ში დაბეჭდეთ კორრესპონდენცია ქუთაისიდამ, რომელიც უფრო თქვენგანვე ტფილისში შედგენილსა ჰგავს. იმ კორრესპონდენციაში ამბობთ:

„ღოღაბერიძე მარტოთ-მარტობძანებლობს ბანკზედ და სარგებლობს მითი, რომ მართველობის ორი დანარჩენი წევრი სრულიად უმეცარნი არიან“.

იმავე 1880 წლის ფელტონში ამბობთ:

„მეორე ნაკლულევანება განსვენებულისა იყო იმისი გაუბედაობა, სუსტი ხასიათი, იმას არა ჰქონდა მოთაობის ხერხი, ის მზათ იყო, რომ იმათ გავლენის ქვეშ ჩავარდნილიყო, ვინც გარეშემო ეხვია“.

თუ მოთაობა არ შეეძლო და სხვის გავლენის ქვეშ იყო ხოლმე, როგორ მოახერხა, რომ ბანკი სრულებით ხელში მოიგდო და როგორც თქვენ იმავე კორრესპონდენციაში ამბობთ თავის ბიძაშვილებს დაუწყო ზომაზედ ერთი ორათა და ერთი სამათ მეტის ფულის დარიგება ჯერეთ აუშენებელი სახლების გირაოთ შეტანის შემდეგ!

მაგრამ უკაცრავათ, ეს უკანასკნელი ფაქტი ისეთი დაუჯერებელი იყო გ. ღოღაბერიძეს მხრივ, რომ თქვენ თითონვე მასუკან უარ-ჰყავით და თქვენის სიცრუის დასამალავათ ის მოიგონეთ, რომ ეგ ბრძოლის ხერხი იყო, მინდოდა საბრძოლელს ველზედ მაგითი მაინც გამომეტყუილებინაო.

ნუ თუ ამ მაგალითებს კიდევ განმარტება უნდა?! არა, მე უფრო კარგის აზრისა ვარ ჩემს მკითხველებზედ, ვიდრე უფ. ნიკოლაძე თავისაზედ და არა მგონია, რომ ესეთს ცხადს ერთისა-და-იმავე კაცის ჯერ გაპირშავებას და მერე პატიოსანს კაცათ გამოყვანას ერთისა-და-იმავე კაცისაგან კიდევ გამოაშკარავება დასჭირდეს. ნათელს განათება აღარ უნდა.

ერთი საყვედური შეიძლება მივიღო ჩემის მკითხველებისაგან. შეიძლება მითხრან: „ნიკოლაძე ისე ხშირათ დღეს ერთს იტყვის და ხვალ მეორეს, რომ ამაზედ ყურადღების მიქცევა წყლის ნაყვა არისო“.

მართალია, ბევრს შეუმჩნევია ეს წინ-დაუხედაობა და ცბიერობა, მაგრამ დროა, რომ მაგგვარი საქციელი ყველასთვის ცხადი იყოს. ამას გარდა, კაცისგან მაგგვარს თავის თავისვე წინააღმდეგობას ხანდისხან თვალსაჩინო ცუდი შედეგი არა მოსდევს-რა, მაშინ შეიძლება უყურადღებოთ დავსტოვოთ. როდესაც კი ამ გვარი საქციელით პატიოსანს კაცს უპატიოსნოს ეძახიან, უანგაროს-ხარბსა, გულ-წრფელს-ორპირსა, საზოგადოებისთვის თავ-გაწირულს—თავის საკუთარის სარგებლობის მიმდევარს; როდესაც ამ გვარი ცილის-წამებით ადამიანს უკანასკნელს სიცოცხლის წამს უმწარებენ, მაშინ ყოველის სინიდისიანის კაცის ვალია ამ თვალთმაქცობას ნილაბი აჰხადოს და საზოგადოებას დაანახვოს, ვინა ზრუნავს იმაზედ და ვინ მხოლოთ თავის თავზედ.

ი. მაჩაბელი.

# რედაქციისაგან

1880 წელს

## „დროება“-„ივერიის“

გამოცემაზედ

1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ივერია“ ერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საზოგადო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანა-მშრომლებისაგან.

გაზეთი „დროება“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოთ ფორმატი (თაბახის სივრცე) უფრო დიდი ექნება. ჟურნალი „ივერია“ კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

### ხელის-მოწერა

მიიღება ტფილისში: „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ერევნის მოედანზე, შუა-ბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: *Въ Тифлисъ. Въ редакцiю „Дроэба“-„Ивериi“.*

### ფასი

| | | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს.. |
|---|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“, ერთად | | — 13 მან. | — 7 მან. | — 4 მან |
| ცალკე: | „დროება“ | — 9 „ | — 5 „ | — 3 „ |
| | „ივერია“ | — 6 „ | — 4 „ | — 2 „ |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირება —5 კაპეიკი.
— — „ივერიისა“ — 2 მანეთი.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება“-„ივერიისა“ { თ. ილ. ჭავჭავაძე. სერ. მესხი.

---

ოთხშაბათს, 23 იანვარს

ქართულ ტრუპპისაგან

საზაფხულო თეატრში წარმოდგენილ იქნება

## ბენეფისი კ. მესხისა

მონაწილეობას მიიღებს თ. აკაკი წერეთელი

I

## სკაპენის ცუღლუტობა

მოლიერის სამ-მოქმედებიანი კომედია გადმოკეთებული ქართულად თ. აკაკი წერეთლისაგან

II

## ბუტიაობა

ვოდევილი ერთ-მოქმედებათ თ. აკ. წერეთლისა

ანტრაქტებში:

1) უფ. ვ. აბაშიძე იმღერებს კომიკურ კუპლეტებს,
2) გაბუნიას ქალი იმღერებს ქართულ სიმღერებსა და
3) კ. მესხი წაიკითხავს იმერულ სცენებს.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსირთან და აზნაუროვის მაღაზიაში.

დაიწყობა $7^1/_2$ საათზე

---

# განცხადებანი

—

კერძოობითი

ძმ. ჩარკვიანის ქართულ წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი ახალი ქართული წიგნები:

ლექსნი თ. გრ. ორბელიანისა

მეორე გამოცემა დამატებით, ტფილის 1878 წლის ფასი ექვსი შაური.

მირიან მეფე და წმ. ნინო

შედგენილი დიმ. ბაქრაძისა, გამოცემული ბიოგი ხუცის-შვილის-მიერ, ტფ. 1880 წლის. ფასი ორი შაური.

დაბალალუას საუბარი

სომხურიდგან ნათარგნი ძრ. წინამძღვაროვისაგან. გამოცემული ბიოგი ზალიკანოვის-მიერ ტფილისი, 1880 წლის. ფასი ერთი აბაზი.

ქართული გამოცანაები

შეკრებილი თ. რაფ. ერისთვისაგან ტფილისი, 1880 წლის. ფასი ორი შაური.

(4—1)

---

შაბათს, 26 იანვარს

ტფილისის თეატრში იქნება

სპექტაკლი

## დამშეულთა სასარგებლოდ

მონაწილეობას მიიღებენ: რუსის, ქართველის და სომხის არტისტები, აგრეთვე თ. დ. გ. ერისთავი, ო. ვ. კალცოვისა, პ. ადამიანი, ქ. სირანუშ და სლავიანსკი თავის ხორით.

ადგილების დაჭერა სპექტაკლისათვის შეიძლება ამ ორშაბათიდამ, 21 იანვრიდამ, „ტფილისის მოამბის“ რედაქციაში.

(7—1)

---

ტფილისის ხელოსანთა კრების სტარშინების ბჭობა ამით აუწყებს უფ. წევრებს, რომ ამას იქით კვირაობით იქნება „ვეჩერები“ მუზიკით და საზანდარი აბდულ ბაღირათი, ოთხშაბათობით კი მასკარადები იქნება. მომსვლელთ ამ საღამოებზედ უნდა გადაიხადონ ფასი: ქალებმა, როგორც მოყვანილთ წევრებისაგან ის სტუმრებისაგან თითო მანეთი, კაცებმა კი „ვეჩერებისთვის“ 1 მან. და 50 კაპ. მასკარადისათვის 2 მან. ფორმა ტანისამოსისა: სამხედრო კაცნი უნდა იყვნენ სერთუკით და ეპოლეტებით, ხოლო სამოქალაქონი შავის სერთუკით. მოტანციები ვალდებულნი არიან პერჩატკები ეცვათ.

დაიწყობა 8 საათზე, გათავდება ორზე.

(2 2)

---

## ტფილისის სახელოსნო კლუბი

ტფილისის სახელოსნო კრების (კლუბის) სტარშინების რჩევა სთხოვს უფალთ თავი წევრთა, მობრძანდნენ საზოგადო კრებაზედ, რომელიც იქნება შაბათს ამ 26 იანვარს საღამოს 7 საათზედ, ზოგიერთ ისეთ მძიმე საქმეების განსახილველად, რომელნიც კრებას შეეხებიან.

(4—3)

---

სახაზინო

ტფილისს გუბერნიის სამართველო (პრავლენიე) აცხადებს, რომ ამა 1880 წლის 8 თებერვალს დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი) იმ სახელმწიფო ზვარის გასყიდვაზედ, რომელიც მდებარებს თელავის უეზდის სფ. კონდოლში და რომელიც შეიცავს 2, 200 ოთხ-კუთხ საჟენს. ვაჭრობა დაიწყება 1, 200 მანეთიდამ. სამი-დღის შემდეგ ხელ-მეორედ ვაჭრობა იქნება.

(3—2)

---

კავკაზიის აქეთა მხრის პრიკაზი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1880 წლის 18 თებერვალს ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში გაისყიდება ქუთაისის მცხოვრების სალომე ყაუხჩოვის მამული სახლი რომელიც 5, 000 მანეთად არის დაგირავებული 1872 წლის პრიკაზში. ვისაც ამ მამულის დაფასებით სიის ნახვა ჭსურს, შეუძლიან ყოველგვარი ცნობები მიაღოს ქუთ. გუბ. სამმართველოდამ.

(3—2)

---

კავკასიის აქეთა-მხრის პრიკაზი აცხადებს, რომ ამ თებერვლის 4-ს გაისყიდება შემდეგ პირთა უძრავი ქონება (სახლები), თავის დროზედ პრიკაზის ვალის გადაუხდელობისათვის; სამის დღის შემდეგ ხელ-მეორედ იქნება ვაჭრობა.

1). ამალია ვერჟბიცკის სახლი, ტფილისში, 2 განყოფილების 11 უჩასტკაში, ელიზავეტის ქუჩაში, რომელიც ალ. ლიპინსკის ეკუთნის, 1871 წ. 4, 500 მან. და 1875 წ. 1, 250 მან.

2). ანნა როგოვენკის სახლი, ტფილისში, 2 განყოფ. 11 უჩასტ. კოროჩნის ქუჩაზე, 1872 წ. 6, 000 მან., 1873 წ. 1000 მან., 1875 წ. 4, 315 და 1876 წ. 3, 000 მან.

(3—2)

---

კავკასიის პრიკაზში 11 თებერვალს ამ 1880 წ. იქნება ვაჭრობა ქვემო მოხსენებულ პირთა უძრავ ქონების გასყიდვაზედ თავის დროზე პრიკაზიდამ აღებულის ვალის გადაუხდელობისათვის. სამი დღის შემდეგ ხელ-მეორედ ვაჭრობა იქნება:

1). ივანე ბაბიევის სახლი 1 განყოფ. 2 უჩასტკაში, 1879 წ. 1, 400 მან.

2). მარიამ დემეროვის სახლი 2 განყოფ. მე-14 უჩასტ. 1870 წ. 300 მან.

3). ტფ. მოქალაქის ასლან ოქროევის, 1 განყ. უჩასტკ. 1872 წ. 3, 750 მან.

4). ტფ. მოქალაქის ხაბიბელა ალიბეგ ტრეგულოვის სახლი, ჩუღურეთში, 1875 წ. 4,400 მან. და 1877 წ. 1000 მან.

5) ტფ. მოქალაქის გრიგორ თოროხოვის სახლი, ავლაბარში, 1875 წ. 1,200 მან.

ვისაც ამ სახლების ჭეიდვა ჭსურს, დაწვრილებითი პირობა და აგრეთვე დაფასებათ სიები პრიკაზში ნახოს.

(3—2)

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Января 1880 г. Типографiя Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.